ÉVALUATION DIAGNOSTIQUE
DES ÉLÈVES ALLOPHONES

Compréhension de l'écrit

CYCLE 4 FIN DE 5E

Langue d'origine : géorgien

CANOPÉ

გვარი:	სახელი:

NIVEAU : FIN DE 5e

წაიკითხეთ შემდეგი ტექსტი:

მაქსი დათანხმდა თოკს სიმშვიდით და ღირსებით. ეს იყო უჩვეულო მოვლენა, მაგრამ მან ისწავლა იმ ადამიანების ნდობა, რომლებსაც იცნობდა და იმის აღიარება, რომ მათი სიბრძნე აღემატება მისას. მაგრამ როდესაც ამ თოკის მეორე ბოლო აღმოჩნდა უცხოს ხელში, მან დაიღრინა მუქარით.

ის უბრალოდ გამოხატავდა თავის უკმაყოფილებას, რადგან ფიქრობდა, თავისი სიამაყით, რომ საკმარისი იყო მორჩილად ყოფნა. მაგრამ მისდა გასაკვირად, თოკი მოეჭირა მისი კისრის გარშემო და სუნთქვა გადაუკეტა. უეცარი ბრაზით შეპყრობილი, ის ეცა კაცს, რომელმაც შეაჩერა ნახტომშივე, სწვდა ყელში და მოხერხებული მოძრაობით დააგდო ზურგზე.

შემდეგ თოკი მოიჭიმა დაუნდობლად. მაქსი ამაოდ იბრძოდა, ბრაზისგან გახელებულს ენა გადმოუვარდა და სუნთქვა აღარ ჰყოფნიდა. არასდროს ცხოვრებაში მას ასე სასტიკად არ მოქცევიან და არასდროს ცხოვრებაში ის არ ყოფილა ასეთი განცვიფრებული. ძალამ ის მიატოვა, თვალები შუშის გაუხდა და გონება დაკარგა.

ჯეკ ლონდონი, ტყის ძახილი, 1903.

1

რომელი მინიშნებები გვაფიქრებინებს, რომ მაქსი არის ძაღლი?
(შემოხაზეთ თქვენთვის მისაღები პასუხები)

- « მაქსი სიმშვიდით დათანხმდა თოკს »
- « ის ღრენდა მუქარით »
- « არასდროს ყოფილა ასეთი განცვიფრებული »
- « ენა გადმოუვარდა »
- « ფიქრობდა, თავისი სიამაყით, რომ საკმარისი იყო მორჩილად ყოფნა »
- « მისი თვალები შუშის გახდა »

MI MF MS TBM

2

რომელი სიტყვები ახასიათებს ყველაზე უკეთ ტექსტში აღწერილ ადამიანს?
(შემოხაზეთ თქვენთვის მისაღები პასუხები)

- მოსიყვარულე
- მშვიდი
- სასტიკი
- მოხერხებული
- ძლიერი
- მორჩილი
- მომთმენი

MI MF MS TBM

3

სწორია თუ არ არის სწორი? (შემოხაზეთ სწორი პასუხი)

მაქსი მიჩვეულია ცუდად მოპყრობას	• სწორია	• არ არის სწორი
მაქსი ვერ ხვდება რა ხდება მის თავს	• სწორია	• არ არის სწორი
მაქსს, აქამდე, თავი სხვებზე მეტი ეგონა	• სწორია	• არ არის სწორი

MI MF MS TBM

4

რას შეესაბამება შემდეგი სიტყვები? (დააკავშირეთ სიტყვები ხაზით)

ტკივილი •	• გრძნობა
ღრენა •	• რეაქცია
სიბრაზე •	• შეგრძნება

MI MF MS TBM

5

აღნიშნეთ ქრონოლოგიურად მოვლენები 1-დან 4-მდე ციფრებით:

..... მაქსი თავს გრძნობს საფრთხეში

..... მაქსს გული მისდის

..... მაქსი ნებდება

..... მაქსი ეწინააღმდეგება

MI MF MS TBM

6

რისთვისაა თოკი ამონარიდში? (შემოხაზეთ ერთი ან რამდენიმე სწორი პასუხი)

• მაქსის ცემისთვის

• მაქსის სასეირნოდ წასაყვანად

• მოძრაობის შესაზღუდად

• დასახრჩობად

MI MF MS TBM

Rappel des codes de correction :
MI = maîtrise insuffisante **MF** = maîtrise fragile **MS** = maîtrise satisfaisante **TBM** = très bonne maîtrise
MI et MF : non acquis **MS et TBM :** on considère que c'est acquis